

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N14 - ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი

1. ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბარათებით ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი.
2. ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის გააქტიურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ VISA და MasterCard საგადახდო სისტემის ბარათზე.
3. განაცხადში კლიენტი/ბარათის მფლობელი მიუთითებს ფინანსურ ნომერს ან/და Digipass-ს, რომელზეც მის მიერ ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელებისას გაიგზავნება ერთჯერადი კოდი, შესაბამისი გადახდის/გადარიცხვის განხორციელების დამატებითი დადასტურებისათვის.
4. თუ კლიენტს/ბარათის მფლობელს გააქტიურებული აქვს ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი, გადახდის/გადარიცხვის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიღებული ერთჯერადი კოდით დამატებით დადასტურების განხორციელების შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, გადახდის/გადარიცხვის ოპერაცია შესრულდება ერთჯერადი კოდის დადასტურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ კლიენტს მინიმუმ ერთხელ შესრულებული აქვს გადახდა/გადარიცხვა 3D უსაფრთხოების სერვისის ფარგლებში და ამავდროულად უზრუნველყოფს შესაბამის ვებ-გვერდზე ბარათის მონაცემების მიბმას/დამახსოვრებას.
5. ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი მოქმედებს მისი გააქტიურებიდან ბარათის მოქმედების ვადის ბოლომდე ან წინამდებარე დანართით გათვალისწინებული წესით დეაქტივაციამდე.
6. ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის დეაქტივაცია ხორციელდება ბანკისათვის შესაბამისი განაცხადის წარდგენის გზით.